



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 13

ქ. გარდაბანი

26/01/2022

13-06-4-202201261918



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აივენგო რიკაძისა და მწვრთნელის გურამი ცალუღელაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 10 იანვრის N413 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენის **აივენგო რიკაძის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი, და მწვრთნელის - **გურამი ცალუღელაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

აივენგო რიკაძე – 700 (შვიდასი) ლარი, 3/5

გურამი ცალუღელაშვილი – 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

